ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**გ-49. 492602814**
თარიღი:**28/01/2026**

სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (ინვენტარი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 16 იანვრის №48-4826016163 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (ინვენტარი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით 2027 წლის 01 იანვრამდე გადაცემის შესახებ, თანდართული ნუსხის მიხედვით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლისა და „საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ უძრავი ქონების გადაცემისა და მომსახურებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის N 536 განკარგულების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (ინვენტარი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, თანდართული ნუსხის მიხედვით (დანართი თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი